

ანგარიში

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული
მუშაობის შესახებ

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: მერაბი სულაბერიძე

თანამდებობის დასახელება: ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე

საანგარიშო პერიოდი: - 2016 წელი

კომისი(ებ)ის დასახელება: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და
საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის წევრი

ფრაქციის დასახელება: ფრაქცია „ქართული ოცნება“ -ს თავმჯდომარე

- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 24 სხდომა (10 რიგითი და 14 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომაზე დასწრება -19 სხდომა

ბიუროს სხდომის რაოდენობა - 21 სხდომა

ბიუროს სხდომაზე დასწრება - 16 სხდომა

- სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 37 სხდომა

კომისიის სხდომებზე დასწრება:

- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ ჩატარდა 18 სხდომა

დავესწარი - 12 სხდომას

- საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მიერ
ჩატარდა 19 სხდომა

დავესწარი - 11 სხდომას

- სულ ფრაქციის სხდომის რაოდენობა - 5 სხდომა

როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ ჩავატარე - 5 სხდომა

- საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პროგრამების დამტკიცება
(სოციალური და ჯანდაცვის).

- **საკრებულოს წევრის მიერ სააგნარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემს საქმიანობას წავმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ქალაქ რუსთავის საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან. დამეგობრებულ ქალაქებს შორის ხორციელდება გაცვლითი ხასიათის სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. ამის მაგალითია უკრაინაში, ქალაქ ვინიცაში, ევროპის ყოველწლიურ დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ჩემი ვიზიტი.

საანგარიშო წელმა ფრაქციისთვის ნაყოფიერად ჩაიარა. ფრაქციის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საკრებულოს მუშაობაში, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობაში, განსახილველი საკითხების ინიცირებაში, მომზადებასა და განხილვებში. მოსახლეობასთან ჩატარდა შეხვედრები, სადაც ხდებოდა იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რაც ჩვენი ქალაქისა და კონკრეტული უბნის მოსახლეობას აწუხებდა. ფრაქციის წევრები აქტიურად მუშაობდნენ იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის გზებზე. ამ მხრივ ნაყოფიერი იყო ჩვენი თანამშრომლობა როგორც მერიის სამსახურებთან ასევე სხვადასხვა უწყებებთან. ბუნებრივია ყველა პრობლემის მოგვარება საანგარიშო წლის განმავლობაში მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა, მაგრამ ფრაქციის წევრები ცდას და მონდომებას არ დაიშურებენ პრობლემების მაქსიმალურად მოსაგვარებლად.

ფრაქცია ასევე აქტიურადაა ჩართული 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში, როგორც კომისიებში, ასევე ფრაქციის სხდომებზეც. ფრაქციის პრიორიტეტი კვლავ არის სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება, ასევე პრიორიტეტებს შორის მნიშვნელოვანი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება, რათა მცირედით მაინც დავეხმაროთ ჩვენს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. ფრაქცია აგრძელებს აქტიურ მუშაობას სხვადასხვა თემებზე, რაც აუცილებლად იქნება ჩვენს მიერ საკრებულოში განსახილველად წარდგენილი.

როგორც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრი, ჩართული ვარ აღნიშნული კომისიების საქმიანობაში განსახილველად გამოტანილ საკითხებზე სათანადო დასკვნების შემუშავებაში.

ამასთან, რეგულარულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩევლებს და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს ვაყენებდი კომისიის (ფრაქციის) და საკრებულოს წინაშე. მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, საკრებულოსა და მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, დადებითად გადაიჭრა ბევრი საკითხი.